სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის შესახებ

რეგლამენტი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ა“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51–ე მუხლის 1–ელი ნაწილის, 52–ე მუხლის 1–ელი და მე–3 ნაწილების, 53–ე მუხლის მე–3 ნაწილის, 54–ე მუხლის 1–ელი ნაწილის, 55–ე მუხლის, 56–ე მუხლის მე–2 და მე–3 ნაწილების, 57–ე მუხლის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის № 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, სსიპ — ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე–12 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“, „ი“ ქვეპუნქტების და მე–3 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესი“.

მუხლი 1. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის მიზანი

სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის მიზანია თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების პროფესიული უნარების ზრდა ფინანსური წახალისების გზით.

მუხლი 2. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსის გამოცხადება და ჩატარების ზოგადი წესი

1. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს ყოველსემესტრულად, სემესტრში რამდენჯერმე პროფესიული წრეებისა და იურიდიული ფირმების დაინტერესებული წარმომადგენლების მიერ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ვებ. გვერდზე გამოქვეყნების გზით.
2. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსს ორგანიზებას უწევს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატი.
3. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსის ჩატარების მიზნით, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ქმნის საკონკურსო კომისიას, რომელთა შემადგენლობაში შედის:
   ა) იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ან/და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
   ბ) იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის ერთი თანამშრომელი;
   გ) იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ერთი წარმომადგენელი;
   დ) კონკურსის გამომცხადებელი დაინტერესებული პროფესიული წრეებისა თუ იურიდიული პირ(ებ)ის წარმომადგენელი.
4. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს რეგისტრაციისთვის

წინასწარ განსაზღვრულ ვადაში და წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართზე.

5. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:
   ა) წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე კონკურსანტების შეფასება და საუკეთესო კონკურსანტების გამოვლენა გასაუბრების ეტაპზე გადასვლის მიზნით;
   ბ) გასაუბრება.

მუხლი 3. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსში მონაწილეობის უფლება

1. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე და შემდგომი სემესტრის სტუდენტებს, რომელთა მოსწრების საშუალო ქულა (GPA) მინიმუმ 3.00-ს შეადგენს.
2. თითოეულ სტუდენტს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სემესტრის განმავლობაში გამოცხადებულ მხოლოდ ორ სასტიპენდიო კონკურსში.
3. სტუდენტს, რომელიც ერთხელ მაინც გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსის გამარჯვებული, არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ამავე რეგლამენტის ფარგლებში გამოცხადებულ სხვა სასტიპენდიო კონკურსში.

მუხლი 4. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და ფორმა

1. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:
   ა) დანართი N1-ით განსაზღვრული შევსებული განცხადების ფორმა;
   ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ბიოგრაფიული რეზიუმე (CV);
   დ) სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 01 გვერდი);
   ე) ნიშნების ფურცელი;
   ვ) ცნობა/სერტიფიკატი/გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია/სხვა ნებისმიერი დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც აღასტურებს კონკურსანტის ჩართულობას უნივერსიტეტსა და მის მიღმა აქტივობებში;
2. სასტიპენდიო კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია კონკურსანტს მოეთხოვოს დამატებითი, რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილისგან განსხვავებული დოკუმენტის წარმოდგენა, რაც განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებისას.
3. მოთხოვნილი დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ელექტრონულად ელ. ფოსტის მისამართზე - law@tsu.ge.

მუხლი 5. წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე

კონკურსანტების შეფასება საუკეთესო კონკურსანტის გამოსავლენად გასაუბრების ეტაპზე გადასვლის მიზნით

1. წარდგენილი განცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ეტაპი გულისხმობს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის დადგენას მოთხოვნებთან იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის მიერ.
2. წარდგენილი განცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ეტაპზე ხარვეზის დადგენის შემთხვევაში კონკურსის ორგანიზატორი უფლებამოსილია კონკურსანტისგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა ან დაზუსტება. თუ მოთხოვნიდან 01 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტის მიერ არ იქნა ხარვეზი გამოსწორებული, განაცხადი არ განიხილება.
3. წარდგენილი განცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ეტაპის ვერ გადალახვის, ასევე ხარვეზის დადგენილ ვადაში არ გამოსწორების შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე, რის შესახებაც ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
4. საკონკურსო კომისიას შესაფასებლად გადაეცემა მხოლოდ იმ კონკურსანტების მონაცემები, რომლებმაც წარმატებით გადალახეს წარდგენილი განცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ეტაპი.
5. საკონკურსო კომისია იქმნება იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მიერ წინამდებარე რეგლამენტის მე-2 მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული შემადგენლობით.
6. საკონკურსო კომისია 50 (ორმოცდაათი) ქულის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე კონკურსანტების შეფასების და საუკეთესო კონკურსანტის გამოსავლენად, გასაუბრების ეტაპზე გადასვლის მიზნით, თითოეულ კონკურსანტს აფასებს შემდეგ კრიტერიუმებში:
   ა) კანდიდატის მოტივაცია – 20 ქულა;
   ბ) კანდიდატის უნივერსიტეტსა და მის მიღმა აქტიურობა – 20 ქულა;
   გ) აკადემიური მოსწრება – 10 ქულა;
   $გ^1$) ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტი ფასდება 10 ქულით და კლების მიხედვით ენიჭება სხვა სტუდენტებს შესაბამისი ქულა. ამასთან, ამ კომპონენტის შეფასებისას დაუშვებელია სტუდენტს მიენიჭოს 0 ქულა; შესაბამისად, ყველა სხვა კონკურსანტს, რომელსაც უნდა მიენიჭოს 2 ქულაზე ნაკლები, ავტომატურად მიენიჭება ერთი ქულა;
   $გ^2$) ერთი და იმავე აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები ფასდებიან ერთნაირი ქულით;
   $გ^3$) სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასებისას უპირატესად მხედველობაში მიიღება სტუდენტის სემესტრული საშუალო ქულა, ხოლო შემდეგ GPA;
7. საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ კონკურსანტს განცხადებების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 01 (ერთი) კვირის ვადაში დანართი N2-ის შესაბამისად.
8. გასაუბრების ეტაპზე გადავა კონკურსანტი, რომლის საშუალო შეფასება იქნება 30 (ოცდაათი) ქულა და მეტი.
9. კანდიდატს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შესახებ ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მუხლი 6. გასაუბრების ეტაპი

1. კანდიდატებთან გასაუბრებას წარმართავს კომისია იმავე შემადგენლობით, რომელიც განისაზღვრა დეკანის ბრძანებით კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატთა შესაფასებლად.
2. საკონკურსო კომისია 50 (ორმოცდაათი) ქულის ფარგლებში გასაუბრების გზით თითოეულ კონკურსანტს აფასებს შემდეგ კრიტერიუმებში:
   ა) კანდიდატის მოტივაცია – 20 ქულა;

ბ) კანდიდატის მეტყველება და გადმოცემის უნარი – 15 ქულა;
გ) ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი – 15 ქულა;

3. საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ კონკურსანტს გასაუბრების დასრულებისთანავე დანართი N3-ის შესაბამისად.

მუხლი 7. სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის სახელობითი სტიპენდიის კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენა და გამოცხადება

1. გამარჯვებულია კონკურსანტი, რომელიც კონკურსის პირველ – *წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე კონკურსანტების შეფასება და საუკეთესო კონკურსანტის გამოვლენა გასაუბრების ეტაპზე გადასვლის მიზნით* და მეორე – *გასაუბრების* ეტაპებზე ყველაზე მეტ ჯამურ შეფასებას (საკონკურსო ქულა) დააგროვებს.
2. თანაბარი საკონკურსო ქულის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც ექნება უფრო მაღალი მოსწრების საშუალო ქულა (GPA).
3. კონკურსის გამომცხადებელი პროფესიული წრეების წარმომადგენლის ან/და იურიდიული ფირმ(ებ)ის მიერ გამარჯვებული დაჯილდოვდება ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი პრიზით:
   ა) ფულადი სტიპენდია 06 (ექვსი) თვის განმავლობაში ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით ან ერთჯერადად 1200 ლარის ოდენობით;
   ბ) ანაზღაურებადი სტაჟირება;
   ბ.1) სტაჟირების ხანგძლივობა – არანაკლებ 04 (ოთხი) თვე, კვირაში არაუმეტეს 16 (თექვსმეტი) საათიანი დატვირთვა, სასწავლო პროცესთან თავსებადი.
   ბ.2) ანაზღაურება – არანაკლებ 300 (სამასი) ლარი;
   ბ.3) სტაჟირების პროგრამის შეფასება ხდება მისი დაწყებისა და დასრულების დროს, ფაკულტეტისა და შესაბამისი იურიდიული პირის ჩართულობით და ფასდება მისი შედეგები.
   გ) არანაკლებ 06 (ექვსი) თვიანი უცხო ენის შემსწავლელი კურსის დაფინანსება;
   დ) საზღვარგარეთ სასწავლო ვიზიტის/ტრენინგ-კურსის ორგანიზება-დაფინანსება;
   ე) პროფესიული გადასამზადებელი კურსის დაფინანსება (მედიაციის სასერტიფიკატო კურსის, ადვოკატთა, პროკურორის, მოსამართლის საკვალიფიკაციო კურსი და სხვ.);
   ვ) თსუ იურიდიულ ფაკულტეტთან შეთანხმებით შესაძლებელია ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებისგან განსხვავებული პრიზით გამარჯვებულის დაჯილდოება;
   ზ) კონკურსის შედეგები განთავსდება თსუ იურიდიული ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე.

მუხლი 8. აპელაციის უფლება

1. კონკურსანტს უფლება აქვს შედეგების გამოქვეყნებიდან 01 (ერთი) დღის ვადაში დანართი N4-ით დადგენილი ფორმით გაასაჩივროს (წარმოადგინოს პრეტენზია განცხადება) პირველი და მეორე ეტაპის შედეგები.
2. საპრეტენზიო განცხადება მიიღება მხოლოდ ელექტრონულად ელ. ფოსტის მისამართზე – law@tsu.ge.
3. საპრეტენზიო განცხადებას იხილავს საკონკურსო კომისია განცხადების შესვლიდან 03 (სამი) დღის ვადაში და კონკურსანტს შედეგების შესახებ ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მუხლი 9. რეგლამენტის ამოქმედება

რეგლამენტი ამოქმედდეს თსუ იურიდიული ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე მისი გამოქვეყნების მომენტიდან.